

რელიგიასთან დაკავშირებული ინციდენტების გამუქება 1990-იანი
წლებისა და თანამედროვე ქართულ პრესაში

თამარ კობიძე

*ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და
ხელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის: „მედია, ჟურნალისტიკა და
კომუნიკაცია“ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: მედია, ჟურნალისტიკა და კომუნიკაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ კინწურაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2018

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

თამარ კობიძე

22.06.2018

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია რელიგიასთან დაკავშირებული ინციდენტების გაშუქების შესწავლა 1990-იანი წლებისა და თანამედროვე ბეჭდურ მედიაში. კვლევის ფარგლებში გამოყენებულია თვისებრივი მეთოდი. ინციდენტები შერჩეულია სახალხო დამცველის ანგარიშების საფუძველზე. კონკრეტული ინციდენტების შესწავლისას გაანალიზებულია შემდეგი საკითხები: „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“ მეშვიდე და მეთერთმეტე მუხლები - რაც დისკრიმინაციის გამოყენებასა და ფაქტის განზრახ დამახინჯებას გულისხმობს; უმცირესობის როგორც ობიექტისა და სუბიექტის წარმოჩენა/ბალანსის დაცვა, სტერეოტიპების შექმნაში ხელშეწყობა.

საკვლევად შერჩეულია სამი გაზეთი, რომელიც 1990-იანი წლებიდან დღემდე იბეჭდება და აქტიურად აშუქებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებს. აღნიშნული გაზეთებია: „რეზონანსი“, „ასავალ-დასავალის“ და „კვირის პალიტრა“ ნაშრომი დაფუძნებულია ავტორიტეტული მედია ორგანიზაციების მიერ სხვადასხვა დროს რელიგიური უმცირესობებისა თუ სიძულვილის ენის გამოყენების შესახებ ჩატარებულ კვლევებსა და „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“ სტანდარტებზე, გამოყენებულია მრავალფეროვნების გაშუქების საერთაშორისო პრინციპები და წამყვანი ჟურნალისტების მიერ შემუშავებული სამეცნიერო მიდგომები.

კვლევის შედეგებში იდენტიფიცირებულია რელიგიასთან დაკავშირებული ინციდენტების გაშუქების ხარვეზები, სირთულეები და გამოწვევები. ასევე, შემუშავებულია რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც ბეჭდური მედიის ხარისხს გააუმჯობესებს.

საკვანძო სიტყვები: გაზეთები, რელიგიური ინციდენტი, მრავალფეროვნების გაშუქება, რელიგიური უმცირესობები, უმცირესობის საკითხები, დისკრიმინაცია, ჟურნალისტური სტანდარტი, „რეზონანსი“, „ასავალ-დასავალი“, „კვირის პალიტრა“

Abstract

The goal of the work is to study religious incidents in the 1990s and modern print media. The research was used the qualitative method. Incidents were selected on the base of Public Defender's reports. In the study of specific incidents the following issues were analyzed: the Seventh and Eleventh Articles of the Charter of Journalistic Ethics, which implies the use of discrimination and deliberate distortion of the fact; Protecting / presenting the object and subject of the minority, creating stereotypes.

Selected were three newspapers, which are printing since 1990s till nowadays and actively are covering public-political themes. These newspapers are: "Rezonansi", "Asaval-dasavali" and "Kviris Palitra". The work is based on researches about religious minorities or hate speech, conducted by authoritative media organizations at various times and on standards of the Charter of Journalistic Ethics, have been used the international principles of diversity coverage and scientific approaches developed by leading journalists.

In the summary of the research have been identified defaults, difficulties and challenges of reporting of religious incidents. Also, have been developed recommendations that will improve the print media quality.

Keywords: newspapers, religious incident, diversity reporting, religious minorities, minority issues, discrimination, journalistic standard, "Rezonansi", "Asaval-dasavali", "Kviris Palitra".